## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

## „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი"

ს/ნ 204554945 მის: ქ. თბილისი ლარსის შესახვევი №5 mail:vakhotsereteli@gmail.com

15.02.2022 წ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ დავით კარგარეთელს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი" გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ.გამარჯვების ტერიტორიაზე, საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, ფლობს ინსინერატორის საწარმოს, სადაც 2016 წლიდან წარმოებს სამედიცინო ნარჩენების მიღება და უსაფრთხო განადგურება (ინსინერაცია).

მიმდინარე პანდემიური ვითარების ფონზე, მაშინ როდესაც კლინიკები მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს, მკვეთრად გაიზარდა სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა და მოთხოვნა მათ გაუვნებლობაზე, შესაბამისად საჭირო გახდა საწარმოს წარმადობის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სახიფათო ნარჩენების დროული და უსაფრთხო განადგურება. შესაბამისად, არსებული დაბალი წარმადობის ინსინერატორი, ჩანაცვლდა მაღალი წარმადობის, გარემოს დაცვის თვალსაზრისით ადაპტირებული დანადგარით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი "-ს მე-5 მუხლის (პუნქტი12.) მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა საქმიანობის შესახებ მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემამდე, კომპანიას დაევალა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, კერძოდ, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაციის სამნისტროში წარდგენა.

ტრანსპორტირების სქემისა და  ნარჩენების ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებიდან  ინსინერატორის საწარმომდე განხორციელდება კომპანიის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებით, ყოველთვიურად, კვირაში 6 დღის განმავლობაში, 10:00-14:00 საათის შუალედში.

გთხოვთ,  თქვენს თანხმობას ზემოაღნიშნულ გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო

ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი“-ს დირექტორი

ვახტანგ წერეთელი